ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა

დამტკიცებული:

სენატის სხდომის ოქმი N4.

თარიღი: 15.03.2024 წ.

დადგენილება N20.

ცვლილება:

სენატის სხდომის ოქმი N2.

თარიღი: 28.01.2025 წ.

დადგენილება N27.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. დოკუმენტის მიზანია „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) საუნივერსიტეტო საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა;

1.2. დოკუმენტის მიზანია უზრუნველყოს უნივერსიტეტში უსაფრთხო სამუშაო და სასწავლო გარემოს შექმნა;

1.3. უნივერსიტეტის სამართლებრივი დოკუმენტი შესაბამისობაშია საქართველოს შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანულ კანონთან და სხვა საკანონმდებლო აქტებთან.

მუხლი 2. შრომის უსაფრთხოების სისტემა

2.1. მორალური - შრომის უსაფრთხოების არასათანადო სამუშო გარემოს გამო მომხდარი ფატალური უბედური შემთხვევები, ტრავმები თუ პროფესიული დაავადებები დიდ გავლენას ახდენს არა მარტო დასაქმებულებზე, არამედ მათ ოჯახის წევრებზე, მეგობრებსა და კოლეგებზე, მსგავსი ფაქტები მორალურად მიუღებელია.

2.2. სამართლებრივი - შრომის უსაფრთხოების მიმართულებით ქვეყანაში არსებული კანონმდებლობა წარმოადგენს უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითად მარეგულირებელ ნორმებს და უნივერსიტეტი მუდმივად მზადაა თავისი საქმიანობა შესაბამისობაში მოიყვანოს სამართლებრივ რეგულაციებთან.

2.3. ფინანსური - შრომის უსაფრთხოების სისტემა უნივერსიტეტს შეუმსუბუქებს და თავიდან აარიდებს უბედური შემთხვევებთან და პროფესიულ დაავადებებთან დაკავშირებულ ხარჯებს. შრომის უსაფრთხოების წესების დაუცველობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს უნივერსიტეტს, ასევე შესაძლოა გამოიწვიოს უნივერსიტეტის საქმიანობისა და პარტნიორ ორგანიზაციებთან საქმიანი რეპუტაციის შელახვა.

მუხლი 3. დამსაქმებლის პასუხისმგებლობის სფერო

3.1. დაიცვას შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმები;

3.2. დაიცვას დასაქმებულების და სამუშაო სივრცეში მყოფი ადამიანების ჯანმრთელობა ზიანის მიყენებისგან;

3.3. აღრიცხოს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევები, საშიში შემთხვევები და მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს დასაქმებულს;

3.4. უზრუნველყოს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების შემთხვევების რეგისტრაცია, მოკვლევა და ანგარიშგება;

3.5. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით:

ა. შეამოწმოს შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობა და მოახდინოს მისი დოკუმენტირება;

ბ. უზრუნველყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების და სხვა დამცავი საშუალებების მოვლა - გასუფთავება, გააკონტროლოს მათი სწორად გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში დროულად შეცვალოს ისინი;

გ. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით შეამოწმოს, გაზომოს და შეაფასოს საწარმოო გარემოს შემდეგი ფაქტორები:

ფიზიკური ფაქტორები (მათ შორის, ტემპერატურა, ტენიანობა, ჰაერის მოძრაობის სიჩქარე, სითბური გამოსხივება, არამაიონებელი გამოსხივება, მაიონებელი გამოსხივება, საწარმოო ხმაური, ულტრაბგერა, ინფრაბგერა, ვიბრაცია, უპირატესად ფიბროგენული მოქმედების აეროზოლები(მტვერი), განათება, აეროიონები, ელექტროძაბვა);

ქიმიური ფაქტორები (მათ შორის, ქიმიური სინთეზით მიღებული, ბიოლოგიური ბუნების მქონე ზოგიერთი ნივთიერება (ანტიბიოტიკები, ვიტამინები, ჰორმონები, ფერმენტები, ცილოვანი პრეპარატები) ან/და ნივთიერებები, რომელთა კონტროლისათვის ქიმიური ანალიზის და დეტექციის მეთოდები გამოიყენება);

ბიოლოგიური ფაქტორები.

3.6. დამსაქმებლის ვალდებულებაა დასაქმებულთა რაოდენობის, სამუშაო პირობების, საფრთხის ხარისხის, ხასიათისა და სტრუქტურის და შესაბამისი რისკების გათვალისწინებით, უზრუნველყოს დასაქმებულებისათვის სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟის ჩატარება/ინფორმაციის მიწოდება:

ა. შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამართლებრივი და სხვა ნორმების და უსაფრთხო შრომის პრინციპების შესახებ;

ბ. სამუშაო პროცედურების, მანქანა - დანადგარების, სამუშაო ტექნიკისა და სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენებისა და შეკეთების ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების შესახებ;

გ. საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების შესახებ;

დ. არსებული საფრთხისა და რისკის, აგრეთვე მათი კონტროლის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

3.7. დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულებს, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს ან/და სამუშაო სივრცეში მყოფ პირს მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

ა. პროფესიულ რისკებზე და მავნე საწარმოო ფაქტორებზე, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაო ადგილთან და დასაქმებულების ჯანმრთელობაზე მათ შესაძლო გავლენასთან;

ბ. რისკებზე, რომელთა წინაშეც შეიძლება დადგნენ დასაქმებულები და რისკების შედეგების შეფასებაზე, მათ შორის, დამსაქმებლის მიერ მიღებულ შრომის უსაფრთხოებისა და პრევენციულ ზომებზე;

გ. საგანგებო სიტუაციებზე, საევაკუაციო გეგმებზე და მომეტებული საფრთხის არსებობის შემთხვევაში მისაღებ ზომებზე, აგრეთვე იმ ღონისძიებებსა და პროცედურებზე, რომლებიც უნდა განხორციელდეს ავარიის ან ხანძრის არსებობის შემთხვევაში;

დ. გარკვეული სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით, რომლებზეც ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი აკრძალვები.

3.8. დამსაქმებელი ვალდებულია არ დაასაქმოს 18 (თვრამეტი) წლამდე პირი (არასრულწლოვანი) ისეთ სამუშაოზე, რომელმაც მისი შესრულების ხასიათის ან გარემოებების გათვალისწინებით, შეიძლება ზიანი მიაყენოს მის ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას.

მუხლი 4. უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის სამსახური

4.1. ვალდებულია შეისწავლოს ყველა ინციდენტი „ნეუ ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის" ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე და შედეგები აცნობოს მმართველ რგოლს;

4.2. ვალდებულია შექმნას უსაფრთხო გარემო თანამშრომელთა საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის;

მუხლი 5. დასაქმებულთა მოვალეობები

5.1. დასაქმებული ვალდებულია დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით და აღნიშნული დებულებით განსაზღვრული შრომის უსაფრთხოებისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები;

5.2. დაიცვას ტრენინგებით მიღებული ინფორმაცია/გამოცდილება;

5.3. დაუყოვნებლივ შეატყობინოს საფრთხის შემცველი გარემოებების შესახებ უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის სამსახურს;

5.4. შეატყობინოს დამსაქმებელს ნებისმიერი დაზიანების შესახებ;

5.5. აცნობოს ხელმძღვანელობას ნებისმიერი near - miss - ის შესახებ;

5.6. გამოიყენოს ვარგისი პირადი დაცვის აღჭურვილობა ყველგან, სადაც ამის საჭიროება არსებობს;

5.7. იყოს მაგალითი თანამშრომლებისათვის შრომის უსაფრთხოების დაცვის კუთხით;

5.8. უსაფრთხოების საუკეთესო მაჩვენებლისათვის შეიმუშაოს შესაბამისი წინადადებები და აცნობოს ხელმძღვანელობას.

მუხლი 6. შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულთა მონაწილეობა და კონსულტაციები

6.1. დამსაქმებელმა გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულების ან/და დასაქმებულთა წარმომადგენლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მონაწილეობა, რაც გულისხმობს:

ა. დასაქმებულებთან კონსულტაცია;

ბ. დასაქმებულის ან დასაქმებულთა წარმომადგენლის უფლება, მოახდინოს შრომის უსაფრთხოების შესახებ წინადადების ინიციირება;

გ. დაბალანსებული მონაწილეობა.

6.2. შრომის უსაფრთხოების ახალი ღონისძიებათა სისტემის ინიცირებისას უნივერსიტეტის მენეჯმენტი იღებს ვალდებულებას შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულებთან გაიაროს კონსულტაცია;

6.3. სამუშაო პროცესის, სამუშაოს შინაარსის ან ორგანიზების ისეთი ცვლილების დაგეგმვისას, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს დასაქმებულის შრომის უსაფრთხოებაზე, უნივერსიტეტის მენეჯმენტი ვალდებულია შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულებთან გაიაროს კონსულტაცია.

მუხლი 7. საფრთხის აღმოჩენა აღმოფხვრა და კონტროლი

7.1. დასაქმებულები ვალდებულები არიან შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს შეატყობინონ ნებისმიერი წარმოქმნილი ინციდენტის შესახებ მიუხედავად მისი სიმძიმისა;

7.2. ინციდენტის ჩაწერა შენახვა და განხილვა უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

7.3. უნივერსიტეტი მზად არის აღმოფხვრას და აკონტროლოს ყველა სახის საფრთხე, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს დასაქმებულების ჯანმრთელობას.

7.4. უნივერსიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირი გამოთქვამს მზაობას მიიღოს და შეისწავლოს ყველანაირი მეთოდი, რომელიც საჭიროა საფრთხის აღმოსაფხვრელად და გაატაროს ღონისძიებები მის აღმოსაფხვრელად;

მუხლი 8. სტანდარტული უსაფრთხოები წესები

8.1. უსაფრთხოების წესები არის გზამკვლევი რათა სამუშაო გარემო უნივერსიტეტში იყოს უსაფრთხო და შესასრულებელი სამუშაო შესრულდეს უმაღლესი ნიშნულით:

ა. შესასრულებელი სამუშაოს სწრაფად შესრულებისათვის არასოდეს შეუქმნათ საფრთხე თქვენს უსაფრთხოებას;

ბ. თუ შესასრულებელი სამუშაო საფრთხის შემცველია, მოახსენეთ ამის შესახებ ხელმძღვანელს. უნივერსიტეტი მოიძიებს უსაფრთხო მეთოდს სამუშაოს შესასრულებლად.

გ. საჭიროების შემთხვევაში არასოდეს მოიხსნათ ან გამორთოთ უსაფრთხოების აღჭურვილობა.

დ. დაემორჩილეთ უსაფრთხოების აღმნიშვნელ ყველა ნიშანს;

ე. ალკოჰოლური ან ნარკოტიკული თრობის ქვეშ ნებისმიერი სახის სამუშაოს შესრულება დაუშვებელია;

ვ. არ შემოიტანოთ ცეცხლსასროლი იარაღი ან ფეთქებადი საშუალება სამუშაო გარემოში.

მუხლის 9. რისკების შეფასება და მართვა

9.1. უნივერსიტეტი სრული პასუხისმგებლობით ეკიდება სამუშაო ადგილებზე უსაფრთხო გარემოს შექმნას და მის მართვას, შესაბამისად ახდენს რისკების შეფასებას;

9.2. რისკების შეფასებისას ხდება:

- საფრთხის იდენტიფიცირება;

- რისკის დონის განსაზღვრა;
- მონაცემების დოკუმენტირება;
- გადახედვა.

9.3. რისკების შეფასების შემდეგი საფეხურია რისკების კონტროლის იერარქია:

- აღმოფხვრა;
- ჩანაცვლება;
- საინჟინრო კონტროლი;
- ადმინისტრაციული კონტროლი;
- ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

9.4. უნივერსიტეტში რისკების შეფასება და მართვა ხორციელდება აღიარებულ პრინციპებზე და პრაქტიკაზე დაყრდნობით შემუშავებული და დამტკიცებული მეთოდოლოგიით.

მუხლი 10. პერსონალის სწავლება

10.1. უნივერსიტეტის თანამშრომლები მათ შორის მენეჯერები, ვალდებული არიან გაიარონ შესავალი ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოებაზე. ასევე აუცილებლად გაიარონ სწავლება კონკრეტული სპეციალობების მიხედვით ცოდნის შემდგომი შემოწმებით;

10.2. ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დაწყებამდე აუცილებლად უნდა გაეცნოს თანამდებობრივი და უსაფრთხოების წესებს;

10.3. გარკვეული თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია თანამშრომლებს გააჩნდეთ სახელმწიფო ან სასწავლო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტები, რომელიც ადასტურებს პირის კვალიფიკაციას (საჭიროების შემთხვევაში);

მუხლი 11. დისციპლინური პოლიტიკა

11.1. შრომის უსაფრთხოების სათანადოდ უზრუნველყოფა რთულია გარკვეული ტიპის დისციპლინური პოლიტიკის გატარების გარეშე. უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შენარჩუნებისთვის აუცილებელია, უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ მოთხოვნების სრულყოფილად დაცვა;

11.2. შრომისა უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში უნივერსიტეტის მენეჯმენტი იტოვებს უფლებას გამოიყენოს დისციპლინური პოლიტიკა;

11.3. შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების გამოვლენისას, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, მოქმედებს შემდეგი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები:

- საწყის ეტაპზე (გარდა უხეში დარღვევისა) დამრღვევის გაფრთხილება სიტყვიერად;
- განმეორებითი დარღვევისას - წერილობითი საყვედური ან ფულადი ჯარიმა;
- მესამე დარღვევის შემთხვევაში - დამრღვევის სამუშაოდან დროებით ჩამოცილება ან სამსახურიდან გათავისუფლება.

მუხლი 12. მონიტორინგი და ანგარიშგება

12.1. გამოვლენილი საფრთხეებისა და რისკების პროფილაქტიკური ღონისძიებების ჯეროვანი განხორციელების შესაბამისობის დადგენის მიზნით უნივერსიტეტში წარმოებს პერიოდული მონიტორინგი;
12.2. შრომის უსაფრთხოების ოფიცერი ვალდებულია ჩაატაროს შიდა ინსპექტირებები და შეამოწმოს, რამდენად სწორად მიმდინარეობს რისკების კონტროლის პროცესი;
12.3. პერიოდული მონიტორინგი უნივერსიტეტში ხელს უწყობს ახალი საფრთხეების იდენტიფიცირებას, რაზეც წარმოებს შესაბამისი ანგარიშგება მმართველ რგოლთან;
12.4. მონიტორინგის შედეგები ინიშნება, დამუშავდება და განიხილება მენეჯმენტთან ერთად, შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა/განხორციელების მიზნით.

მუხლი 13. დასკვნითი დებულებანი

13.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი;
13.2. უნივერსიტეტის წინამდებარე დებულება მოქმედებს ხელმოწერისთანავე;
13.3. დებულების მიღება, გაუქმება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ;
13.4. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.

NEU
ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი